

რე "ავე ჯორჯია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	960,373	1,033,617
ბიოლოგიური აქტივები	4	920,759	538,114
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,881,132	1,571,731
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	339,303	225,608
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	404,085	546,085
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	459,319	434,213
საგადასახადო აქტივი	8	-	52,072
სულ მიმდინარე აქტივები		1,202,707	1,257,978
სულ აქტივები		3,083,839	2,829,709
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	899,506	336,105
მიღებული სესხები	10	2,435,590	2,329,848
საგადასახადო ვალდებულება	8	9,906	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,345,002	2,665,953
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(332,863)	92,056
საწესდებო კაპიტალი	11	71,700	71,700
სულ კაპიტალი		(261,163)	163,756
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,083,839	2,829,709

თავმჯდომარე

შალვა ხეცურიანი

30 სექტემბერი, 2021 წ.



რკ "ავე ჯორჯია"
სრული შემოსავლების ანგარიშგება, ლ

	შენიშვნები	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	301,102	27,782
თვითღირებულება	13	(214,306)	-
საერთო მოგება		86,796	27,782
პერსონალის ხარჯი		(131,722)	(184,433)
ცვეთის ხარჯი	3	(210,046)	(112,102)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი		(86,878)	-
ფინანსური ხარჯი		(202,333)	(40,434)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14	121,410	448,095
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(1,189)	(199,937)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		(957)	-
პერიოდის შედეგი დაბეგვრამდე		(424,919)	(61,029)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის შედეგი		(424,919)	(61,029)

თავმჯდომარე

შალვა ხეცურიანი

30 სექტემბერი, 2021 წელი



რკ "ავე ჯორჯია"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ლ
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	საწესდებო კაპიტალი	სულ კაპიტალი
31.12.2018	153,085	71,700	224,785
პერიოდის შედეგი	(61,029)	-	(61,029)
31.12.2019	92,056	71,700	163,756
პერიოდის შედეგი	(424,919)		(424,919)
31.12.2020	(332,863)	71,700	(261,163)

თავმჯდომარე

შალვა ხეცურიანი

30 სექტემბერი, 2021 წელი



რკ "ავე ჯორჯია"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, ლ
2020 წლის 31 დეკემბერი

არაპირდაპირი მეთოდი

	2020 წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
ზარალი დაზღვევამდე	(424,919)
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	210,046
ზარალი/ (მოგება) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	957
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	(213,916)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში	
მარაგების (შემცირება)/ზრდა	(25,106)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	142,000
საგადასახადო აქტივი	52,072
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება	563,401
საგადასახადო ვალდებულება	9,906
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	528,357
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(136,802)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	(382,645)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(519,447)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხების აღება	105,742
სხვა რეზერვების ზრდა/შემცირება	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	105,742
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	114,652
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	225,608
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(957)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	339,303

დირექტორი

შალვა ხეცურაიანი

30 სექტემბერი, 2021 წელი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კოოპერატივი რკ „ავე ჯორჯია“ (კომპანია ან რეგისტრირებული კავშირი), საიდენტიფიკაციო ნომერი: 405269490, დარეგისტრირებულია საქართველოში. რეგისტრირებული კავშირის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარ მეფის გამზირი, N 17

კომპანია საქმიანობს სოფლის მეურნეობის სექტორში, კერძოდ გაშენებული აქვს ვენახი, ახდენს ღვინის წარმოებას და რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე.

კოოპერატივს მართავს გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო

გამგეობის წევრები არიან:

- შალვა ხეცურიანი, 60003000127, თავმჯდომარე/წევრი;
- მარინე შაშიაშვილი, 60002002101, წევრი;
- ესმა ხეცურიანი, 60003000128, წევრი.

ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან

- რევაზ ხეცურიანი, 60001125300;
- ანტონი ხეცურიანი 60001125301;
- მარიამ ქორჩილავა 01008063496.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე: საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებს დღე-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია ამ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახადი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ

გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2019	694,922	437,704	12,039	61,450	27,600	1,233,715
შეძენა	55,374	27,133	423	53,873	-	136,803
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	750,296	464,837	12,461	115,323	27,600	1,370,517

	შენობა- ნაგებობის ცვეთა	მანქანა- დანადგარების ცვეთა	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	სულ
ცვეთა						
ბალანსი 31.12.2019	31,681	163,576	1,664	3,178	-	200,098
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ცვეთა	36,074	66,759	1,499	105,714	-	210,046
ბალანსი 31.12.2020	67,755	230,334	3,163	108,892	-	410,144

	ნარჩენი					
ბალანსი 31.12.2019	663,241	274,129	10,375	58,272	27,600	1,033,617
ბალანსი 31.12.2020	682,541	234,503	9,298	6,431	27,600	960,373

4. ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 920,759 ლარს. რომელიც წარმოადგენს გაშენებულ ვენახს.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	329,363	210,397
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9,940	15,211
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	339,303	225,608

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	-	140,000
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	2,000
გადახდილი ავანსები	404,085	404,085
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	404,085	546,085

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	45,152	20,490
მზა პროდუქცია	414,167	413,723
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	459,319	434,213

8. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში დარიცხული აქვს დამატებული ღირებულების გადასახადი, მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი. 2019 წლის 31 დეკემბერს არსებული საგადასახადო აქტივის ღირებულება არის 52,072 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას აქვს საგადასახადო ვალდებულება 9,906 ლარის ოდენობით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	891,064	333,095
სხვა ვალდებულებები	8,442	3,010
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	899,506	336,105

10. მიღებული სესხები

კომპანიას მიღებული აქვს შეღავათიანი აგრო კრედიტი სს თიბისი ბანკისაგან, ასევე სესხი მიღებულია ფიზიკური პირისაგან, რომელიც არის კომპანიის დაკავშირებული მხარე. მიღებული სესხების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,435,590 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,329,848 ლარს.

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 71,700 ლარს, საანგარიშგებო პერიოდში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან	267,273	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	33,829	27,782
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	301,102	27,782

კომპანია საქმიანობს სოფლის მეურნეობის სექტორში, კერძოდ გაშენებული აქვს ვენახი, ახდენს ღვინის წარმოებას და რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020 წ.	2019 წ.
მასალები	207,565	-
რეკლამის ხარჯი	5,073	-
ტრანსპორტირება	1,667	-
სულ თვითღირებულება	214,306	-

14. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის არასაოპერაციო შემოსავალმა 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 121,410 ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში 448,095 ლარი. არასაოპერაციო შემოსავალი სრულად მოიცავს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სესხის მიმდინარე პროცენტის წილის თანადაფინანსების თანხებს.

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- o მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები და შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- o პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- o ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- o კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- o ოჯახის ახლო წევრები;
- o მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვთ, პირდაპირ ან ირიბად ზემოთ ხსენებულ პირებს;
- o დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2019 წლის განმავლობაში რეგისტრირებულ კავშირს დირექტორისაგან მიღებული აქვს სესხი 289,137 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის განმავლობაში 144,229 ლარის ოდენობით.

16. საკმანძობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს დაფაროს ფინანსური ვალდებულებები და გააგრძელოს ოპერირება ბაზარზე.

Covid-19-ის მიერ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, კომპანიამ შეძლო საკმანძობის გაგრძელება, შესაბამისი შეზღუდვებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით და შეინარჩუნა საჭირო რაოდენობის თანამშრომლები. შეიძლება ითქვას, რომ Covid-19-ს არსებითი და მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე არ მოუხდენია.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, გარდა Covid-19-სა, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.